

ჩვენი საქართველო 5

მოსწავლის წიგნი





საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი

თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა

ლექსი

დავით მაღრაძის

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე მთელი ქვეყანა,
განათებული მთა-ბარი,
წილნაყარია ღმერთთანა.

თავისუფლება დღეს ჩვენი
მომავალს უმღერს დიდებას,
ცისკრის ვარსკვლავი ამოდის
ამოდის და ორ ზღვას შუა ბრწყინდება.

დიდება თავისუფლებას,
თავისუფლებას დიდება!

ჩვენი საქართველო

V კლასი

მოსწავლის ნიშნი

ჩვენი საქართველო

V კლასი

მოსწავლის ნიშნი

2018 წელი

ჩვენი სამშობლო

1. მითი არგონავტებზე..... 6
2. შავი ზღვა..... 8
3. უხსოვარი დროიდან 10
4. სოფელი და ქალაქი..... 12
5. მთები და მდინარეები 14
6. ერთიანობის საფუძველი 16
7. საქართველოს მხარეები 18
8. ენა და მეტყველება 20
9. შემაჯამებელი გაკვეთილი..... 22

იმერეთი

10. მდებარეობა და ბუნება 24
11. დასახლება და მოსახლეობა..... 26
12. უძველესი ქალაქი..... 28
13. მეურნეობა 30
14. მანგანუმი და ქვანახშირი 32
15. გარემოს დაცვა 34
16. კულტურის ძეგლები..... 36
17. ტრადიცია და თანამედროვეობა..... 38
18. შემაჯამებელი გაკვეთილი..... 40

შიდა ქართლი

19. მდებარეობა და ბუნება 42
20. დასახლება და მოსახლეობა..... 44
21. ქართული სულიერების საგანძური..... 46
22. მავთულხლართებს მიღმა 48
23. მეურნეობა 50
24. ხორბალი 52
25. გარემოს დაცვა 54
26. კულტურის ძეგლები..... 56
27. ტრადიცია და თანამედროვეობა..... 58
28. შემაჯამებელი გაკვეთილი..... 60

ქვემო ქართლი

29. მდებარეობა და ბუნება 62
30. დასახლება და მოსახლეობა..... 64
31. საზღვრისიქეთა ქვემო ქართლი 66
32. ქართული მეტალურგიის ცენტრი..... 68
33. სოფლის მეურნეობა 70
34. გარემოს დაცვა 72
35. ნარჩენები და გარემოს დაბინძურება 74
36. კულტურის ძეგლები..... 76
37. ტრადიცია და თანამედროვეობა..... 78
38. შემაჯამებელი გაკვეთილი..... 80

სვანეთი

39. მდებარეობა და ბუნება 82
40. დასახლება და მოსახლეობა..... 84
41. მეურნეობა 86
42. გარემოს დაცვა 88
43. მთამსვლელობა და ტურიზმი 90
44. კულტურის ძეგლები 92

| | |
|-------------------------------------|----|
| 45. ტრადიცია და თანამედროვეობა..... | 94 |
| 46. შემაჯამებელი გაკვეთილი..... | 96 |

სამეზრეო

| | |
|--------------------------------------|-----|
| 47. მდებარეობა და ბუნება | 98 |
| 48. დასახლება და მოსახლეობა..... | 100 |
| 49. საქართველოს საზღვაო კარიბჭე..... | 102 |
| 50. მეურნეობა | 104 |
| 51. გარემოს დაცვა | 106 |
| 52. კულტურის ძეგლები..... | 108 |
| 53. ტრადიცია და თანამედროვეობა..... | 110 |
| 54. შემაჯამებელი გაკვეთილი..... | 112 |

აჭარა

| | |
|-------------------------------------|-----|
| 55. მდებარეობა და ბუნება | 114 |
| 56. დასახლება და მოსახლეობა..... | 116 |
| 57. ძველი და ახალი ბათუმი | 118 |
| 58. მეურნეობა | 120 |
| 59. გარემოს დაცვა | 122 |
| 60. კულტურის ძეგლები..... | 124 |
| 61. ტრადიცია და თანამედროვეობა..... | 126 |
| 62. ლაზეთი..... | 128 |
| 63. შემაჯამებელი გაკვეთილი..... | 130 |

გაკვეთილის სტრუქტურა

გაკვეთილის ნომერი და სათაური

გაკვეთილის შინაარსისა და მიზნის მაპროვოცირებელი კითხვები

თემის სათაური

წყაროში წარმოდგენილია ტექსტი, სურათი და რუკა, რომელთა შესწავლა და გამოკვლევა გვეხმარება საკითხის გაგებაში.

თემის წინ დასმული სტრატეგია, რომელიც ბოლოს კვლავ მიეთითება და თემის ბოლოს ჯამდება

გაკვეთილის ძირითადი ტექსტი

მუქი შრიფტით გამოყოფილია მნიშვნელოვანი ტერმინი ან ფრაზა

წყაროს გასაცნობად დასმული კითხვები და დავალებები

10

თემატიკა

მდინარეობა და აუზნა

- რუკის მიხედვით დადგინეთ იმერეთის მდებარეობა და საზღვრები:
- საქართველოს რომელ ნაწილში მდებარეობს იგი?
- რომელია იმერეთის მოსაზღვრე მხარეები?
- რომელია მდინარეების სახელები მას სხვა მხარეებისაგან?



დასწავლი ცხრილის „კიცი – მინდა უკოდე – გაუფა“ შევსება.


იმერეთი მოიცავს კოლხეთის დაბლობს ნაწილს, იმერეთის მაღლობს და მის მიმდებარე ქედებს, სასაფლაოს შორის დიდი სიგიაბა საქართველოს ამ მხარის ბუნების მრავალფეროვნების უზაგრესი მიზეზია. დაბლობ ადგილებში წარსულში გაურკვევლელი გაუფალი ტყე დღეს სასოფლო-სამეურნეო სავარგულსა და დასახლებებს უკეთა. მთათა კალთები ტყითა შემოსილი, რომელსაც ზემოთ მდელოები ეწოდება.

მთაში მდინარეები წარმოქმნიან განიერ ქალაქსა და კუნძულებს. ქალაქის ნოყიერ მიწებზე უზაგრესად სამინდის ყანებია, ქალაქის მიმდებარედ კი მცირედ შემალბულ ადგილებში – საკარმიდამო ნაკვეთები.

საქართველოში კვლავზე წყალუბრია მდინარე რიონი. ქვემო დინებაში იგი ჩასმულია ხელოვნურ ვეზირებსა და მინარელებში. ისინი წელიწადის განმავლობაში იცავს მნიშვნელოვან ტერმინებს. მდინარეთა უზრუნველყოფა ფართოდ იყენებდნენ წარსულში ასაბუნებელად დღეს კი მათზე აგებულია ჰიდროელექტროსადგურები – რიონჰესი, ლეჩხაუბისი, ტყუბულაჰესი.

იმერეთში ოდითგანვე გადიოდა აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი გზა, რამაც ხელი შეუწყო ამ მხარის სამეურნეო და კულტურულ დანაწარებას.



წყარო 1. კოლხეთის დაბლობი თითქმის მთლიანად დაფარულია სასოფლო-სამეურნეო საფარვლებით.


წყარო 2. იმერეთის მთებში მდინარეთა ხეობები ვიწრო და ღრმაა. ხეობები უზაგრესად ტყითა შემოსილი.

წყარო 3. აჭარა-იმერეთის ქედი გადაჭიმულია 140 კმ-ზე შიგნით ზღვის სანაპიროდან ქ. პორთოშიმდე.

- დასკრები წყაროები (1–3) და აღწერილი რა მსგავსება-განსხვავებებია იმერეთის დაბლობს, აჭარა-იმერეთის ქედისა და მთის მდინარის ხეობის ბუნებას შორის. აღწერილი მათი უღებარი, ტყის საფარი და ადამიანის მიერ ტერმინების ათვისება.

წყარო 4. გაზეთი „ეფრია“ 1889 წელს ამ ახეთბეტილდ წლის წინ წგნი ორბარი იგი მებედ შესანიშნავი დაბა. ვაჭრობა დღითი-დღე მატებდა, უნაიდან აქ გაიღოდა გზა ქუთაისიდან გურასა და სამგერლოსაკენ. მაცრამ გაფენეს თუ არა ფოთითბლის რკინიგზა, ორბარი ურბამად დედა. რკინიგზამ ორბარს გვერდი უკეთა და მიიღო ვაჭრობა სამგერლოსა გადიოდა.

- რამდენად მნიშვნელოვანი იყო ორბარის გვერდის ადგილი რკინიგზის გაყვანა, უნაიდან ამით იგი დახარალები იმეველი?
- როგორ ფიქრობთ, რა როლის შესრულება შეუძლია ქვეყნისთვის მთავრობის საზღვარების გაწვინარებაში? დაასაბუთო.



წყარო 5. რიონის ვიწრო-ვიწრო ძველი ჰიდროელექტროსადგურია საქართველოში.

დაიფიქრო გველებად განსაზღვრეთ იმერეთის სატრანსპორტო კეპონებს საქართველოს სხვა მხარეებთან. დახაზეთ ცხრილი დიფაზე და ჩამოწერეთ მხარეები შესაძლებლად სტატუსი. ცხრილი გადაიტანეთ რველში.

| | | | |
|-------------------|---------------------------|---------------------|-----------------------------|
| სარკინიგზო კეპონი | არ არის სარკინიგზო კეპონი | საავტომობილო კეპონი | არ არის საავტომობილო კეპონი |
|-------------------|---------------------------|---------------------|-----------------------------|

გაგანრედი ცხრილის „კიცი – მინდა უკოდე – გაუფა“ შევსება.

დავალება

- კონტრულ რუკაზე დაიტანეთ გაკვეთილში მოცემული გეოგრაფიული ობიექტები.

დაბა ქალაქის მდებარეობა დასახლება. მინარელობაში მოზარდი ადგილია. სასოფლო-სამეურნეო სავარგული მთის ნაკვეთია, სადღე მოზარდი აგროკულტურები. მასვე მოკუენებენ საძოვრებსა და საბებებს. ხელოვნური ვეზირი არის ნაკვეთია, რომელზე იკეთებ ადგილ დამბორვისაგან. დაბლობი მშენებლის უზადარია, რომლის სასაფლაო ზღვის დონიდან 200 მეტრს არ აღმოსავლდა.

გაკვეთილის შემაჯამებელი სადისკუსიო განმამტიკებელი დავალება

შინ შესასრულებელი სამუშაო

ლექსიკონში განმარტებულია უცხო სიტყვები და ტერმინები

ამ გაკვეთილიდან შეიტყობთ, რომ ჩვენი სამშობლო ერთ-ერთი უძველესი ქვეყანაა. ამის შესახებ მოგვითხრობს მითი არგონავტებზე. გაიგებთ, რომ მითი ერთ-ერთი ისტორიული წყაროა.

შორეულ საბერძნეთში ცხოვრობდა უფლისწული იასონი, რომელმაც ააგო ხომალდი „არგო“ და სხვებთან ერთად კოლხეთისაკენ გამოემშურა. ბერძენ ზღვაოსნებს გემის სახელის გამო დაერქვათ **არგონავტები**.

კოლხეთი მაშინ ჩვენი სამშობლოს იმ ნაწილს ერქვა, რომელიც შავ ზღვას ეკვროდა. კოლხეთს განაგებდა უძლეველი მეფე აიეტი. მისი ძლევა მოსილების სიმბოლო იყო **ოქროს სანმისი** – ოქროსმატყლიანი ცხვრის ტყავი, რომელიც ფასისის ქალაქში ერთ დიდ მუხაზე ეკიდა. ფასისი დღეს რიონის სახელითაა ცნობილი. ოქროს სანმისს გველეშაპი დარაჯობდა. სწორედ ამ სანმისის დაუფლება სურდა იასონს.

ბერძენი ზღვაოსნები აუყვნენ მდინარე ფასისს და მიადგნენ მეფე აიეტის სატახტო **ქალაქ კუტაიას**. როგორც ფიქრობენ, ეს დღევანდელი ქუთაისია. კოლხეთის მეფემ სტუმრები დიდებულ სასახლეში მიიღო. ოქროს სანმისის სანაცვლოდ მეფემ უცხო სტუმრებს რთული დავალებების შესრულება მოსთხოვა. იასონს ცეცხლისმფქვრეველი ხარებით მინა უნდა მოეხნა და გველეშაპის კბილები დაეთესა, შემდეგ კი მათგან აღმოცენებული გოლიათი მეომრები დაეხოცა.

აიეტი ფიქრობდა, რომ იასონი ამ დავალების შესრულებისას დაიღუპებოდა. მაგრამ იასონს მხსნელად აიეტის ულამაზესი ასული მედეა მოევლინა, რომელსაც სტუმარი თავდავინყებით შეუყვარდა. მედეამ სასწაულმოქმედი მალამო მისცა იასონს. იასონმა ტანზე წაისვა მალამო და მეომრებმა ვერაფერი ავნეს. იასონმა ისინი დაამარცხა. შემდეგ მედეამ ოქროს სანმისის მცველი გველეშაპიც დააძინა და ბერძნებმა ოქროსმატყლიანი ცხვრის ტყავი ფარულად გაიტაცეს. იასონმა მედეა გემზე აიყვანა და საბერძნეთისაკენ გაცურეს. აიეტმა მათ მდევარი დაადევნა, თუმცა უშედეგოდ. არგონავტებმა ოქროს სანმისი საბერძნეთში ჩაიტანეს.

მედეასა და იასონის სიყვარულზე მრავალი წიგნი დაიწერა, გადაიღეს ფილმები, დადგეს სპექტაკლები, შექმნეს ნახატები და სიმღერები. მედეას სახელზე აგებდნენ ძველად ტაძრებს. უებარი წამლების დამზადებისა და მკურნალობის საოცარი ნიჭის გამო კი მედეას სახელი დაერქვა სამკურნალო საქმეს – „**მედიცინას**“.



წყარო 1. ოქროს სანმისის მოტაცების სცენა

- მონახეთ ტექსტში ადგილი, რომელსაც ასახავს ეს სურათი. აღწერეთ იგი.
- აღწერეთ ახალი „არგო“ (წყარო 2). რით განსხვავდება იგი თანამედროვე ხომალდებისაგან?

წყარო 2. ინგლისელმა მკვლევარმა ტიმ სევერინმა 13 ახალგაზრდასთან ერთად 1984 წელს ქ. ვოლოსიდან (საბერძნეთი) გამოცურა ახალი „არგო“-თი. 3-თვიანი მგზავრობის შემდეგ ხომალდი ქ. ფოთში შემოვიდა და მდ. რიონით სოფ. ჭყვიშამდე იცურა. დამტკიცდა, რომ შესაძლებელი ყოფილა ნიჩბიანი ნავით საბერძნეთიდან საქართველოში მოსვლა.



წყარო 3. ასეთი მარშრუტით იმოგზაურეს ახალმა არგონავტებმა.

წყარო 4. ვანში მეცნიერებმა აღმოაჩინეს ძველბერძნული გამარჯვების ქალღმერთის – ნიკეს ბრინჯაოს ქანდაკება.

- თქვენი აზრით, რით არის მნიშვნელოვანი ტიმ სევერინის მოგზაურობა?
- რა მარშრუტი გაიარეს ახალმა არგონავტებმა?
- რატომ დაჭირდათ ახალ არგონავტებს სამოგზაუროდ 3 თვე?
- როგორ ფიქრობთ, ძველ არგონავტებსაც იგივე დრო დასჭირდებოდათ და იგივე გზას გაივლიდნენ თუ არა? დაასაბუთეთ.
- რაზე მეტყველებს ბერძნული ნივთების კოლხეთში აღმოჩენა?



დაიყავით ჯგუფებად. წაიკითხეთ სახელმძღვანელოს ტექსტი, გაეცანით ლექსიკონში „მითის“ მნიშვნელობას. გაითვალისწინეთ ვანში გათხრების შედეგად აღმოჩენილი მონაპოვარი, გადაიხაზეთ რვეულში ცხრილი და შეავსეთ.

| მითი არგონავტების შესახებ | |
|---------------------------|------------|
| სინამდვილე | გამონაგონი |

თქვენი ნამუშევრის წარდგენა მიანდეთ ჯგუფის რომელიმე წევრს. ყველა თვალსაზრისის მოსმენის შემდეგ მოაწყვეთ დისკუსია შემდეგ საკითხებზე:

- რატომ არის მითი ისტორიული წყარო?
- რომელ ნამდვილ ფაქტებზეა საუბარი ამ მითში?

დავალება

- მოიძიეთ და გაიგეთ მეტი არგონავტების მითის შესახებ, კერძოდ თუ როგორ აღმოჩნდა თავის დროზე ოქროს სანმისი კოლხეთში. დაწერეთ მცირე ნარკვევი.

ვებგვერდი: <https://www.youtube.com/watch?v=3MSsW2Y>,
<https://www.youtube.com/watch?v=YileLuRXEU>

მითი ხალხური გადმოცემაა, რომელშიც ზღაპრულთან ერთად ნამდვილი ამბებიცაა მოთხრობილი.

ისტორიული წყარო ჩვენამდე მოღწეული ნებისმიერი საბუთია, რომელიც მოგვითხრობს წარსულის შესახებ. ესენია: ნივთები, ნაგებობები ან მათი ნაშთები, ხელნაწერები, მითები და სხვ.

მარშრუტი წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით მოგზაურობაა.

ამ გაკვეთილიდან შეიტყობთ, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს შავ ზღვას საქართველოსთვის.

ზღვას, რომელიც ჩვენს სამშობლოს დასავლეთიდან ეკვრის, ყველა შავ ზღვას უწოდებს. შავი ზღვის სანაპირო ზოლი საქართველოში იწყება მდინარე ფსოუს შესართავიდან და მთავრდება სოფელ სარფთან. სხვა ზღვებსა და ოკეანეებს შავი ზღვა ბოსფორისა და დარდანელის **სრუტეებით** უკავშირდება. სწორედ ეს სრუტეები გამოიარეს ძველმა და ახალმა არგონავტებმა, როცა კოლხეთში მოვიდნენ.

შავ ზღვას ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსთვის. შავი ზღვიდან წამოსული თბილი და ნოტიო ჰაერის გამო საკმაოდ თბილა და უხვი ნალექებიც მოდის საქართველოში, განსაკუთრებით კი მის დასავლეთ ნაწილში. ეს კი ხელს უწყობდა აქ ტყეების გავრცელებას, ნადირ-ფრინველის სიმდიდრეს, სითბოსა და ტენის მოყვარული **აგროკულტურების** მაღალი მოსავლის მიღებას.

სანაოსნო გზებით შავი ზღვა აკავშირებდა და აკავშირებს საქართველოს სხვადასხვა ქვეყანასთან, ხელს უწყობდა და უწყობს მათთან ვაჭრობას.



წყარო 1. ძლიერი ქარის დროს შავ ზღვაში ტალღის სიმაღლემ შეიძლება 3-5 მეტრს და მეტსაც მიაღწიოს. ასეთი ტალღები საფრთხეს უქმნიან სანაპიროზე მყოფ ადამიანებსაც.

წყარო 2. თევზის რენვა, რომელსაც საოჯახო მოხმარების გარდა, სავაჭრო დანიშნულებაც ჰქონდა – ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო ადგილობრივებისათვის. ამიტომ ხშირად შენიშნავთ თევზსაჭერ გემებს შავ ზღვაში.

წყარო 3. დღეს შავი ზღვის **პლაჟები** დასვენებისა და გართობის საუკეთესო ადგილია. აქ განლაგებულ საზღვაო კურორტებს ყოველწლიურად სტუმრობს მრავალი ტურისტი.

წყარო 4. შავ ზღვას ყველაზე მეტად აბინძურებს **ტანკერები** და მათი ავარიები. ნავთობით დატვირთვისას ან მისი დაცლისას იგი ხშირად ხვდება წყალში და აბინძურებს მას.

- შეიძლება თუ არა იყოს სრულიად უსაფრთხოდ გემზე ყოფნისას ზღვაში, როცა იგი ღელავს? დაასაბუთეთ.
- სპორტის რომელი სახეობაა ასახული სურათზე (წყარო 3)?
- სპორტის კიდევ რომელი სახეობებია დაკავშირებული ზღვასთან?
- ტანკერების გარდა, კიდევ რამ შეიძლება დააბინძურის შავი ზღვა? დაასაბუთეთ.

წყარო 5. საქართველოს საზღვაო კურორტები

- რუკის მიხედვით ჩამოთვალეთ საზღვაო კურორტები და შეუსაბამეთ ისინი საქართველოს მხარეებს.
- დაასახელეთ საქართველოს ყველაზე ჩრდილოეთით და სამხრეთით მდებარე საზღვაო კურორტები.



■ რა მნიშვნელობა აქვს შავ ზღვას საქართველოსათვის? დაიყავით ჯგუფებად, გადაიხაზეთ ცხრილი რვეულში და შეავსეთ იგი:

| კლიმატის ჩამოყალიბება | ურთიერთობა სხვა ქვეყნებთან | ადამიანთა უზრუნველყოფა საკვებით | დასვენება-გართობა |
|-----------------------|----------------------------|---------------------------------|-------------------|
|-----------------------|----------------------------|---------------------------------|-------------------|

■ დაუკავშირეთ წყაროებიდან და გაკვეთილის ტექსტიდან მიღებული ინფორმაცია თქვენს ჩანაწერს, უპასუხეთ შეკითხვებს და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალებები:

- რამდენად ემთხვევა ეს ინფორმაციები ერთმანეთს?
- გამოყავით მსგავსება-განსხვავებები.
- გააკეთეთ პრეზენტაცია კლასის წინაშე.

დაიცავით უსაფრთხოების წესები ზღვაზე!

- არასოდეს გაცუროთ ზღვაში შორს!
- ბოლომდე არ ენდოთ გასაბერ ლეიბს ან რგოლს! მისმა შეუმჩნეველმა წუნმა შეიძლება თავი იჩინოს ღრმა წყალში.
- არ ასწავლოთ სხვას ცურვა ღრმა წყალში. ეს სახიფათოა ორივე თქვენგანისათვის.
- არ შეხვიდეთ ზღვაში, როცა ის ღელავს.

■ ამ რჩევებიდან რომელს არ ეთანხმებით? ახსენით რატომ?

■ კიდევ რაიმეს ხომ არ დაამატებდით?

■ იმსჯელეთ ყველა ამ რჩევის შესახებ. რა საფრთხეებს ქმნიან ისინი?

■ თქვენი აზრით, რა როლი შეიძლება ითამაშოს ზღვამ ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებაში?

აგროკულტურა მცენარეებია, რომლებიც ადამიანმა ხანგრძლივი შრომის შედეგად მოაშენა. იგი გამოიყენება საკვებად და სხვადასხვა პროდუქტის – შაქრის, ზეთის, საღებავის, რეზინისა და სხვათა დასამზადებლად.

კლიმატი, იგივე ჰავა გარკვეულ ადგილზე ისეთი ამინდების ერთობლიობაა, რომლებიც წლიდან წლამდე მეორდება.

ტანკერი თხევადი ტვირთის გადასაზიდი გემია. მას უმთავრესად გადააქვს ნავთობი და მისგან მიღებული პროდუქტები.

სრუტე ხმელეთის ორ ნაწილს შორის მდებარე წყლის ვიწრო სივრცეა.

პლაჟი ზღვის ვიწრო სანაპირო ზოლია.

ამ გაკვეთილიდან შეიტყობთ, რომ საქართველოს მინა-წყალზე უძველესი დროიდან ჩანს ადამიანის ნაკვალევი. გაიგებთ, თუ როგორ ცხოვრობდნენ ისინი, როდის იყო ეს და როგორ ითვლიდა ადამიანი დროს.

არგონავტები კოლხეთს მაშინ ესტუმრნენ, როცა ადამიანს უკვე ჰქონდა შრომისა და ბრძოლის საკმაოდ განვითარებული იარაღები, აგებდნენ მშვენიერ სასახლეებს და ნიჩბებიანი გემებითაც მოგზაურობდნენ.

თავდაპირველად კი ადამიანი მხოლოდ ბუნებისაგან ნაბოძებს, მზამზარეულს ითვისებდა — ხილით, ძირხვენებით, თევზაობითა და ნადირობით ირჩენდა თავს. ამ დროს იგი ქვის, ხისა და ძვლის იარაღებს იყენებდა.

ადამიანის ცხოვრების ამ ეტაპს, როცა იგი ქვის იარაღს იყენებდა, **ქვის ხანა** ეწოდება. ამ დროს ადამიანი საკვების მოსაპოვებლად გადადიოდა ერთი ადგილიდან მეორეზე. გავიდა დრო და ადამიანმა ნელ-ნელა ისწავლა მცენარეთა და ნადირ-ფრინველთა მოშენება: ცოცხლად დაჭერილი ნადირი ყველა არ დახოცა, მოიჩვია ისინი და მალე მათი მოვლაც და მოშენებაც დაიწყო. ყოველივე ამ საქმიანობამ ადამიანი აიძულა ხეტიანი შეეწყვიტა და ერთ ადგილზე დაბინავებულიყო.

მაგრამ ეს ერთბაშად არ მომხდარა. ნადირობიდან ცხოველთა მოშენებამდე დიდ-მა დრომ გაიარა. დროის ცვლილება უძველესი ადამიანისთვისაც იყო ცნობილი. მათთვის ადვილი შესამჩნევი იყო დღისა და ღამის, ზაფხულისა და ზამთრის მონაცვლეობა. ადამიანმა ისიც კი შეამჩნია, რომ მთვარე ხან პატარაა, რკალივით წვრილი და ხან სავსე, ბურთივით მრგვალი. დროს, რომელიც მთვარეს სჭირდებოდა სავსე მთვარიდან იმავე მდგომარეობაში დასაბრუნებლად, **თვე** უწოდა, ხოლო იმ დროს, რომელიც ახალი წლიდან ახალ წლამდე გადიოდა — **წელიწადი**.

წელიწადს სხვადასხვა ხალხი სხვადასხვა მოვლენით იწყებდა. ჩვენთან მიღებულია დროის ათვლა ქრისტეს დაბადებიდან, რომელსაც „ჩვენს“ ან „ახალ წელთაღრიცხვას“, „ქრისტეს შობიდან“ უწოდებენ. ხოლო იმ მოვლენას, რომელიც მანამდე ანუ ქრისტეს დაბადებამდე მოხდა, „ძველ წელთაღრიცხვას“, „ჩვენს წელთაღრიცხვამდე“, „ქრისტეს შობამდე“ ეძახიან. დროის პერიოდებად დაყოფას **კალენდარი** ჰქვია.

მიღებული წესით, წელიწადი 12 თვედ იყოფა, თვე — 4 კვირად, ხოლო კვირა — 7 დღედ. ასი წელი კი **საუკუნეს** შეადგენს, 10 საუკუნე კი — **ათასწლეულს**.

დროის ათვლის წესებს **ქრონოლოგია** ანუ **წელთაღრიცხვა** ეწოდება.




წყარო 1. მეცნიერებმა დმანისში აღმოაჩინეს უძველესი ადამიანების თავის ქალები, რომლის მიხედვითაც აღადგინეს მათი იერსახე. შეურჩიეს სახელებიც: ზეზვა და მზია. ისინი მილიონ 800 ათასი წლის წინ ცხოვრობდნენ.



წყარო 2. ასე მუშაობენ არქეოლოგები, რომლებიც ადამიანთა ცხოვრების უძველეს ნაკვალევს ამზებენ.

წყარო 3 ასეთ იარაღს იყენებდა თავდაპირველად ადამიანი, რომლითაც კლავდა ნადირს და კაფავდა ტყეებს.

- ტექსტისა და წყაროების მიხედვით დაადგინეთ, რა საქმიანობას მისდევდნენ ქვის ხანის ადამიანები?



წყარო 4. დროის ხაზი. დრო მიედინება წარსულიდან მომავლისაკენ. წარმოვიდგინოთ ეს ხაზის სახით, რომელიც სწორედ ამ მიმართულებას აღნიშნავს.

- დროის რა ცვლილებების აღსანიშნავად გამოიყენა ადამიანმა მთვარეზე დაკვირვება?
- როგორ ფიქრობთ, როდის უნდა ემოგზაურათ არგონავტებს კოლხეთში – ქვის ხანაში თუ მის მერე? რატომ ფიქრობთ ასე?
- რამდენი საუკუნე გავიდა ქრისტეს შობიდან?
- რამდენი წელი გავიდა ქრისტეს შობიდან დღევანდელ დღემდე?
- როგორ ფიქრობთ, ზეზვა და მზია ცხოვრობდნენ ქრისტეს შობამდე თუ ქრისტეს შობის მერე?
- გამოიანგარიშეთ, რამდენ ათასწლეულს ითვლის ზეზვას და მზიას ასაკი?

ფორმატის ფურცელზე გადახაზეთ დროის ხაზი. გამოაკარით კლასში. მთელი წლის მანძილზე შეავსეთ იგი შემდეგ გაკვეთილებში მოცემული ახალი ინფორმაციების მიხედვით. ერთად მუშაობის დროისა და პირობების შესახებ შეუთანხმდით ერთმანეთს. მომდევნო გაკვეთილზე მოაწყვეთ მისი პრეზენტაცია.

არქეოლოგი მეცნიერია, რომელიც მინის სიღმეში ჩაფლულ ნივთებს აღმოაჩენს და უძველესი ადამიანის ცხოვრების სურათს აღადგენს.
არქეოლოგია კი მეცნიერებაა, რომელიც ადამიანის ცხოვრებას შეისწავლის გათხრებით მოპოვებული ნივთების მეშვეობით.

ამ გაკვეთილიდან შეიტყობთ, თუ როგორ წარმოიშვა სოფელი და ქალაქი.

ადამიანმა ცხოველის მოშინაურებითა და მათი მოვლა-პატრონობით **მესაქონლეობას** ჩაუყარა საფუძველი. მან ასევე შეამჩნია, რომ შემოდგომით მცენარეებიდან ჩამოვარდნილი თესლი გაზაფხულზე აღმოცენდებოდა და ახალ ნაყოფს ისხამდა. მალე მან თავად დაიწყო მათი დათესვა და მოვლა. ასე აღმოცენდა **მინათმოქმედება**.

ყველაფერ ამას კი ქვის ხელცუღლზე უკეთესი იარაღი სჭიდებოდა. ადამიანმა ისწავლა შრომისა და ბრძოლის უფრო დახვეწილი იარაღების დამზადება. მათ განსაკუთრებული უნარის მქონე ადამიანები ქმნიდნენ, რომლებსაც **ხელოსნები** ეწოდებოდათ. ისინი თავიანთი ხელობის მიხედვით იყოფოდნენ: ზოგი **მეთუნე** იყო და თიხისაგან სხვადასხვა ჭურჭელს ამზადებდა; ზოგი **ღურგალი** იყო და ხისაგან სახლებსა და სხვადასხვა იარაღს აკეთებდა; ზოგი კი **მჭედელი** იყო, რომელიც ლითონისაგან იარაღებსა და საყოფაცხოვებო საგნებს ჭედავდა და ა.შ. გაუმჯობესებული იარაღების წყალობით მიწის დამუშავება და მოსავლის მოყვანაც უფრო ადვილი და ნაყოფიერი ხდებოდა.

სხვადასხვა პროფესიის ადამიანები თავიანთი შრომის ნაყოფს ურთიერთ შორის ცვლიდნენ: იძენდნენ იმ პროდუქტს, რომელიც მათ არ ჰქონდათ. ასე გაჩნდა **ვაჭრობა**. სავაჭროდ კი ადამიანების თავშეყრის ისეთი ადგილი შეირჩეოდა, სადაც შორიდან მომავალი რამდენიმე გზა იყრიდა თავს. გზები ძველ დროში მდინარეს მიუყვებოდა, ზღვით მოგზაურობა კი ნავმისადგომად მყუდრო ყურეში მთავრდებოდა.

მყიდველისა და გამყიდველის შეხვედრის ადგილი თანდათან გაიზარდა და მუდმივ დასახლებად იქცა. მათ თავიანთი უბნები და ქუჩები შექმნეს. მაგალითად, ცალკე იყო მჭედლების ქუჩა, ცალკე მეთუნეების და ა.შ. ასე წარმოიქმნა **ქალაქი**. **სოფელი** კი მინათმოქმედთა და მესაქონლეთა დასახლებად დარჩა.



წყარო 1. სამჭედლო

წყარო 2. თიხის ოსტატი დაზგაზე მოზეილ თიხისგან ამზადებდა ჭურჭელს, რომელსაც შემდეგ ქურაში გამოწვავდა.

წყარო 3. თიხის ნაწარმით მოვაჭრეები, თბილისი





წყარო 4. სოფელი ცხრუკვეთი, იმერეთი

წყარო 5. სოფელი მთაში, სვანეთი

წყარო 6. ძველი თბილისი, 1932 წელი

წყარო 7. ძველი ქუთაისი, ბაზრის ქუჩა. XIX საუკუნის II ნახევარი

წყარო 8. თანამედროვე ქალაქის ხედი, თბილისი

- ადამიანთა რომელ საქმიანობას უკავშირდება ქალაქის წარმოშობა?
- სოფლად რა საქმიანობას მისდევდნენ ადამიანები?
- დააკვირდით წყაროებს და გამოყავით მათში ძველი და ახალი ელემენტი.
- ვენის დიაგრამის მიხედვით შეადარეთ ერთმანეთს ძველი და ახალი ქალაქის ხედები.

■ წყვილებში იმუშავეთ და შეადარეთ ერთმანეთს მჭედლისა და თიხის ოსტატის საქმიანობა. მასწავლებლის დახმარებით დაადგინეთ შრომის რა იარაღები ესაჭიროება მათ. დღეს არსებობენ ამ პროფესიის ადამიანები?

■ შეეცადეთ ამოიცნოთ თიხის თქვენთვის ნაცნობი 3 ჭურჭელი. ხომ არ გაქვთ მსგავსი სახლში? რისთვის იყენებთ მას?

დავალება

აღბათ, გსმენიათ, რომ თანამედროვე პერიოდში მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, განსაკუთრებით ახალგაზრდები, მუდმივ საცხოვრებლად გადადის სოფლიდან ქალაქში. შეეცადეთ მოიფიქროთ ამის გამომწვევი 3 მიზეზი და შეიტანეთ ისინი რვეულში. თქვენი სურვილის მიხედვით, ერთ-ერთ მათგანზე შეადგინეთ კომიქსი და გააცანით ის კლასს.

ამ გაკვეთილიდან შეიტყობთ საქართველოს ჰავის ჩამოყალიბებაში და მეურნეობის განვითარებაში მდინარეებისა და მთების გავლენის შესახებ.


ჩვენი სამშობლო შავი ზღვის სანაპიროდან იწყება და აღმოსავლეთით ვრცელდება. იგი **მთებითაა** შემოსაზღვრული: ჩრდილოეთით კავკასიონის **ქედი**, ხოლო სამხრეთით – სამხრეთ საქართველოს **მთიანეთი**. მათ შორის გაცილებით დაბალი ადგილია, რომელსაც საქართველოს მთათაშორისო **ბარი** ეწოდება. მთებს შორის მოქცეულ ამ დაბალ ადგილს ლიხის ქედი შუაზე ყოფს.

შავი ზღვიდან მონაბერი ჰაერის გავრცელებას აღმოსავლეთისაკენ გზას უღობავს ლიხის ქედი. რაც უფრო ვშორდებით ზღვას, ჰავა უფრო მშრალი ხდება. იქ, სადაც ჰავა ნოტიოა, მცენარეები შედარებით ადვილად იზრდება, ხოლო მშრალ ადგილებში მხოლოდ ასეთ პირობებს შეგუებული მცენარეები ხარობს. კავკასიონის ჩრდილოეთით ცივი ჰაერია გაბატონებული და კავკასიონის ქედი აფერხებს მის გავრცელებას საქართველოს ტერიტორიაზე.

მთებში ბევრია პატარ-პატარა ნაკადული, რომლებიც თოვლისა და ყინულის დნობით წარმოიქმნება. ისინი ერთმანეთს ერთვიან და მდინარეებად იქცევიან. მდინარეები მთებიდან ზათქითა და ქუხილით ჩამოედინებიან, ხოლო დაბლობზე მდოვრედ მიიკლანებიან. ზოგი მდინარე ერთვის მეორეს, ზოგი კი ტბაში ან ზღვაში ჩაედინება.

საქართველოს მდინარეების ერთი ნაწილი შავ ზღვას ერთვის, ხოლო მეორე ნაწილი კასპიის ზღვას მიულუთვნება. დიდი მდინარეები თავიანთი შენაკადებით ქმნიან ვრცელ ტერიტორიას, რომელსაც **მდინარის აუზს** უწოდებენ.

მდინარეები რწყავენ ველ-მინდვრებს და მოსავლის მოყვანას უწყობენ ხელს. ელექტროენერჯის მისაღებად მათზე აგებენ **კაშხლებსა** და **ჰიდროელექტროსადგურებს**. კაშხლებთან წყალი გუბდება და **წყალსაცავი** წარმოიქმნება. ხშირად აქ შესანიშნავი დასასვენებელი ადგილები ეწყობა, რაც იზიდავს მრავალ ტურისტს. წყალსაცავებში თევზების მოშენებაც მეტად მომგებიანი საქმეა.



წყარო 1-2. წისქვილებს ძველად მარცვლეულის დასაფქვავად აგებდნენ. ბევრგან დღესაც იყენებენ მას. ლარიდან წყალი ეცემოდა ბორბალს, რომელიც ქვისგან დამზადებულ დოლბს აბრუნებდა. მასში ცვიოდა მარცვალი და **დოლბი** აქუცმაცებდა და ფქვავდა. ფქვილი კი გვერდზე გაკეთებულ ყუთში იყრებოდა.

წყარო 3. წყლის ენერჯით ბრუნავდა ხის დასამუშავებელი ჩარხი.



წყარო 4. მდ. არაგვის ხეობა ჟინვალთან კაშხლით გადაკეტეს და წყალი დააგუბეს. საბოლოოდ, ადამიანის ზემოქმედებამ ასეთი სახე მისცა არაგვის ხეობის ამ ადგილს. ჟინვალის წყალსაცავი სასმელი წყლით ამარაგებს თბილისის მოსახლეობის დაახლოებით ნახევარს.



- ამონერეთ რეეულში ტექსტში დასახელებული ქედები. მოძებნეთ ისინი რუკაზე.
- გაითვალისწინეთ სად ცხოვრობთ და აღნიშნეთ – სჭირდება თქვენთან მცენარეებს მორწყვა თუ არა? რატომ? დაასაბუთეთ.
- რა როლს ასრულებს საქართველოს კლიმატის ჩამოყალიბებაში მთები? მნიშვნელობის მიხედვით გამოყავით რომელიმე მათგანი.
- ტექსტის ბოლო აზრის და წყაროების მიხედვით ჩამოთვალეთ ის სარგებელი, რაც მდინარეს მოაქვს.

იმუშავეთ წყვილებში.

- კაშხალი ბუნებრივი ნაგებობა არ არის. იგი ააგო ადამიანმა. გაიხსენეთ, რა სარგებელი მოაქვს მას?
- დაიხმარეთ მასწავლებელი და გამოარკვიეთ – ხომ არ შეიცავს რაიმე საშიშროებას კაშხალი და წყალსაცავი?
- გააკეთეთ საბოლოო დასკვნა – უნდა აიგოს ისინი თუ არა?

ბარი ზღვის დონიდან დაახლოებით 500 მ სიმაღლემდე მდებარე ტერიტორიაა.

კაშხალი მდინარის წყლის გადამკეტი ხელოვნური ნაგებობაა, რომელიც წყალს აგუბებს.

მთიანეთი მთიანი მხარეა, რომელიც გამოირჩეულა და აღმართული მიმდებარე დაბალი ადგილისაგან.

მთა დედამიწის სწორ ზედაპირზე მნიშვნელოვნად ამაღლებული ადგილია.

ქედი მთათა ერთობლიობაა, რომლებიც გადაჭიმულია გრძივად.

წყალსაცავი იგივე ხელოვნური ტბაა.

ჰესი, იგივე **ჰიდროელექტროსადგური** ნაგებობაა, რომელსაც აგებენ მდინარეზე ელექტროენერჯის მისაღებად.

ერთიანობის საფუძველი

ამ გაკვეთილიდან შეიტყობთ თუ რა გავლენას ახდენს ბუნებრივი პირობები ადამიანის საქმიანობაზე და როგორ განაპირობებს იგი საქართველოს მთისა და ბარის ერთიანობას.

- საქართველოს კლიმატის ჩამოყალიბებაზე რომელი ქედები ახდენს განსაკუთრებულ გავლენას? გაიხსენეთ რატომ?
- შავი ზღვიდან აღმოსავლეთის მიმართულებით რატომ მცირდება ნალექების რაოდენობა? როგორ აისახება ეს მცენარეულ საფარზე?

საქართველოს ბუნება მრავალფეროვანია. ეს განპირობებულია: მთისა და ბარის არსებობით, შავი ზღვის გავლენით, მიდგან დაშორებით და ა.შ.

მთებში ჰაერის ტემპერატურა გაცილებით უფრო დაბალია, ვიდრე ბარში. იგი რთული რელიეფითაა ხასიათდება. ამის გამო მთებში მცირეა ან საერთოდ არ გვხვდება ხეხილის ბაღები და ვენახები. ამიტომ აქ მეცხოველეობაა დანიშნულებული. ბარში კი მიწათმოქმედება წამყვან დარგად გვევლინება. აქ გაშენებულია ხეხილის ბაღები, ვენახები და ერთწლოვანი კულტურები.

ნოტიო კლიმატის გამო დასავლეთ საქართველოში ტენის მოყვარული აგროკულტურების მოყვანა უფრო ადვილია, მაშინ როცა აღმოსავლეთში – შედარებით სიმშრალის მოყვარულების. განსაკუთრებით მშრალი კლიმატით ხასიათდება საქართველოს უკიდურესი აღმოსავლეთი ნაწილი, სადაც ივრის ზეგანი და ელდარის დაბლობია. ამ კლიმატურმა პირობებმა უფრო მეტად შეუწყო ხელი აქ მესაქონლეობის განვითარებას.

ბუნებრივი პირობებისა და მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარების გამო წარმოიქმნა საქართველოს სხვადასხვა მხარეში მცხოვრებთა სამეურნეო ურთიერთ-დამოკიდებულება.



წყარო 1. პურის ყანა



წყარო 2. ზვარი / ვენახი



წყარო 3. ხეხილის ბაღი



წყარო 4. ბოსტანი

- როგორ იცვლება მეურნეობის დარგები ბარიდან მთის და დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით?
- ეს ცვლილება არის თუ არა განპირობებული იმავე მიზეზებით, რის გამოც იცვლება მცენარეული საფარი ამავე მიმართულებით? დაასაბუთეთ.
- წყაროების (1-4) მიხედვით განსაზღვრეთ, რომელ სურათზეა ასახული ერთწლიანი აგროკულტურები და რომელზე – მრავალწლიანი?

წყარო 5. ივანე ჯავახიშვილი

საქართველოს სხვადასხვა მხარის ბუნება ერთმანეთისაგან ძლიერად განსხვავდება. ზოგი მათგანი მეხილეობისა და მევენახეობის, ზოგი კი ხორბლეულისა და ბოსტნეულის კულტურებისათვის საუკეთესო ასპარეზს წარმოადგენდა. განსხვავებული სასოფლო-სამეურნეო არეების წყალობით ყოველ მხარეს ყველაფერი არც ჰქონდა და არც შეიძლება ჰქონოდათ. გარდა ამისა, ამ დანაკლისს ისინი თავიანთი ნაწარმის ურთიერთგაცვლით ივსებდნენ. წვრილფეხა საქონელს მალეობი ადგილების სუსხიანი, თოვლიანი და უბალახო ზამთრის ატანა არ შეეძლო. ამიტომ მეცხოველეობის მიმდევარი მთის მცხოვრები ცხვრის ფარას ზამთრობით თავის მხარეში ვერ დასტოვებდა. მას თავის საქონლისათვის ბარის თბილი და ზამთრის საძოვრიანი ადგილები აუცილებლად სჭირდებოდა. თავის მხრივ, ბარის მცხოვრებსაც საკუთარი საქონლის ზაფხულობით ბარად დატოვება არ შეეძლო. ცხვარს აქაური სიციხის ატანა არ შეეძლო და არც საკმარისი საძოვარი იყო. ამის გამო ბარელს ზაფხულში თავისი ცხვრის ფარა უნდა მალეობ, გრილსა და კარგსაძოვრიან თემს უნდა წაესხა. ამრიგად, **ბარელს მთა სჭირდებოდა და მთიელს კიდე – ბარი. უერთმანეთოდ მათ არსებობა არ შეეძლოთ.** ამ ბუნებრივი პირობების წყალობით საქართველოს ბარი, მეურნეობრივად ჩრდილოეთისა და სამხრეთის ნაწილების მხარეებთან უმჭიდროესად იყო დაკავშირებული. საქართველოს მთა ადგილების სამიმოსვლო და ალებ-მიცემობის გზებიც ბარისაკენ მიიმართებოდა.

- რომელი საქმიანობაა განვითარებული მთაში და რომელი ბარში?
- რატომ ვერ ვითარდება მეხილეობა და მევენახეობა მთაში?
- რა ინვესტაციები სჭირდება სეზონურ გადარეკვას მთიდან ბარში და ბარიდან მთისკენ?



წყარო 6. ახლა უკვე დროა ბარისკენ დაეშვას ფარა ზამთრის საძოვრებისაკენ.

წყარო 7. ზამთრისთვის ასე იმარაგებენ თივას.

დაიყავით ჯგუფებად, პირობითად „ბარელებად“ და „მთიელებად“. თითოეულმა ცალ-ცალკე დახაზეთ ცხრილი დაფაზე და შეავსეთ იგი.

| | | |
|---|---|-------------------------------|
| 10 ძირითადი პროდუქტი, რომელსაც იყენებს თქვენი ოჯახი | პროდუქტები, რომლებიც თქვენმა ჯგუფმა შეიძლება აწარმოოს | რა პროდუქტის დანაკლისი გაქვთ? |
|---|---|-------------------------------|

ბოლოს მიიღეთ გადაწყვეტილება, როგორ შეავსებდით ამ პროდუქტების დანაკლისს: იყიდდით, გაცვლიდით მეორე ჯგუფის წევრებთან, თუ სხვა საშუალებას მიმართავდით. იმსჯელეთ და დაასაბუთეთ.

დავალება

■ დაწერეთ ნარკვევი, რატომ წარმოიშვა ქალაქები ბარში.

ერთწლიანი ისეთი კულტურა, რომელიც იზრდება და ვითარდება 1 წელზე ნაკლებ პერიოდში, ხოლო **მრავალწლიანი** ისეთი მცენარეებია, რომელთა ზრდასა და განვითარებას მრავალი წელი სჭირდება. **ფარას** დიდი რაოდენობით ერთად თავმოყრილ ცხვარს ეძახიან. **რელიეფი** დედამიწის ზედაპირის უსწორმასწორობაა. რელიეფის ფორმებია: ქედი, მთა, ვაკე და სხვ. **წვრილფეხა საქონელი** – ცხვარი და თხა.

ამ გაკვეთილიდან შეიტყობთ, თუ რას წარმოადგენს მხარე და როგორ წარმოიშვა ის.

მთები ციცაბო და მაღალი კალთებით ადამიანს გადაადგილებას უძნელებს. ასევე მდინარეებიც, რომლის დახრამული ნაპირები და ღრმა წყალი მეორე ნაპირზე გადასვლას აფერხებს. ამიტომ ისინი ქმნიან ბუნებრივ საზღვრებს, რომელთა ერთ მხარეს განსხვავებული ბუნებაა და მეორე მხარეს კი – სხვანაირი. ერთგან მიდამო ტყითაა დაფარული, მეორეგან კი იგი იშვიათია ან სულაც არაა; ერთგან ვაზი ხარობს, მეორეგან კი – არა; ერთგან ზაფხულში პაპანაქება სიცხეა, როცა იმავე დროს მეორეგან საამურად გრილა. თუმცა ეს განსხვავებული ადგილები ერთი ქვეყნის ნაწილებია, მაგრამ მაინც ერთმანეთისაგან განირჩევიან და ერთმანეთისაგან გამოცალკავებულნი არიან. მათ ჩვენი სამშობლოს **მხარეები** ეწოდება.

განსხვავებული ბუნებრივი პირობები ადამიანს სხვადასხვაგვარი მოქმედებისაკენ უბიძგებს. იქ, სადაც ხეები ბევრია, სახლებიც ხეებისაგან იგება; სადაც ნოყიერი საძოვრებია, პირუტყვის მოშენება ადვილია და საქონელიც ბლომად ჰყავთ; სადაც ვაზი ხარობს ბევრ ყურძენსაც მოიწვევენ და ა.შ. ამიტომ საქართველოს მხარეების თავისებურებებმა ამ მხარის მცხოვრებლების განსხვავებული ყოფა შექმნა. ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა მხარეში მცხოვრები ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან იერიითა და ჩაცმულობით, სარჩო-საბადებლის მოყვანის წესითა და საცხოვრებლის მონყობით. თუმცა ისინი ყოველთვის ერთი ქვეყნის – საქართველოს შვილები იყვნენ და არიან დღესაც.

წყარო 1. იაკობ გოგებაშვილი

ჩვენ კარგად ვიცით, ერთსა და იმავე მშობლების შვილებს გვარი ერთი აქვთ, მაგრამ სახელები კი სხვადასხვა. მსგავსად ამისა, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხარეს გვარტომობის სახელი ერთი და იგივე ჰქვია – საქართველო, მაგრამ ამავე დროს, თითოეულ მხარეს თავისი საკუთარი სახელიც ჰქვია, სწორედ ისე, როგორც ღვიძლ ძმებსა და დებს სხვადასხვა სახელს უწოდებენ ხოლმე. აი ის სახელები: კახეთი, ქართლი, იმერეთი, სამეგრელო, გურია, რაჭა, სვანეთი.

- იმსჯელეთ იაკობ გოგებაშვილის შედარებაზე – და-ძმების შესახებ თქვენი მაგალითით.

წყარო 2. ნოდარ დუმბაძე

სამშობლო ყველაფერი ისაა, ურომლისოდაც სიცოცხლე არ შეგიძლია. ახლა აღარ მახსოვს კარგად, რომელ კლასში ვიყავი, მეოთხეში, თუ მეხუთეში:

- დუმბაძე ადექი და მიპასუხე, რა არის სამშობლო, – ამაყენა ქართულის მასწავლებელმა.
- სამშობლო. სამშობლოა ადგილი, სადაც დავიბადე და...

– კიდევ? – ჩამეკითხა მასწავლებელი.

ძალიან დიდხანს ვიფიქრე.

– დაჯექი დუმბაძე, მითხრა მასწავლებელმა, პასუხი რომ აღარ ვაღირსე.


– არ დამინეროთ, მასწავლებლო ორი. ვიცი და ვერ ვამბობ, – შევეხვეწე მე და ტირილი დავიწყე...

- როგორ ფიქრობთ, რატომ გაუჭირდა ნოდარ დუმბაძეს ეპასუხა მასწავლებლის შეკითხვაზე?
- შეეცადეთ, თქვენ ახსნათ რა არის სამშობლო?

იმუშავეთ წყვილებში.

შეავსეთ ცხრილი და ცალ-ცალკე ჩამოწერეთ საქართველოს მხარეები.

| | |
|----------------------|-----------------------|
| საქართველოს მხარეები | |
| დასავლეთ საქართველო | აღმოსავლეთ საქართველო |



ნკარო 3. საქართველოს მხარეები

დავალბა

- გამოიკითხეთ უფროსები და დაადგინეთ:
 - 1) საიდან არის მოსული თქვენი გვარი?
 - 2) ძირითადად რომელი გვარები ჭარბობს თქვენს მხარეში?

ამ გაკვეთილიდან შეიტყობთ, თუ რა არის საერთო ქართველური ფუძე-ენა და დიალექტი.

საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობდა ადამიანთა მრავალი ტომი. ისინი ერთ საერთო ენაზე ლაპარაკობდნენ. ამ ენას მეცნიერები **ფუძე ქართველურ ენას** ანუ **საერთო ქართველურ ენას** უწოდებენ. დღეს იგი უკვე არ არსებობს. დროთა განმავლობაში ერთი ფუძე ენიდან გაჩნდა დღევანდელი ქართული, მეგრულ-ჭანური და სვანური ენები.

სამივე ეს ენა ქართველების საკუთრებაა, ოღონდ მათგან მხოლოდ ქართულ ენაზე შეიქმნა დამწერლობა და საზოგადო ურთიერთობაში ყველა მას იყენებს. ქართულ ენაზე ასწავლიან სკოლასა და უნივერსიტეტში, მუშაობენ პარლამენტში, წერენ ლექსებს, მოთხრობებს, იბეჭდება გაზეთები და ა.შ.

ქართულ ენას, რომლითაც წერა-კითხვა მიმდინარეობს, ქართული **სალიტერატურო** ანუ **სამწერლობო** ენა ჰქვია.


ქუჩაში, ბაზარში, პლაჟზე ან სხვაგან შეიძლება გავიგონოთ ქართულ ენაზე საუბარი, რომელიც ამ სამწერლობო ენისაგან განსხვავებულია. მაგალითად, თუთის ხის ნაცვლად შეიძლება ვინმემ თქვას ბჟოლი ან ბჟოლა, ქამრის ნაცვლად ბჟანტი, ფუტკრის სკის ნაცვლად ბიკვი, რკოს ნაცვლად კურკო და სხვა. ვინც ბჟოლი თქვა ის გურიიდან ან აჭარიდან იქნება, ხოლო ბჟოლას იმერეთში, რაჭასა და ლეჩხუმში ამბობენ. ასევე, ბჟანტს ქართლში ეძახიან ქამარს, ბიკვს კი სკას ლეჩხუმში, ხოლო კურკოს რკოს უწოდებენ მთიულეთსა და ფშავში.

სალიტერატურო ენისაგან განსხვავებულ მეტყველებას **დიალექტი** ჰქვია. ქართულ ენას იმდენი დიალექტი აქვს, რამდენი მხარეცაა. თითოეული დიალექტი ამ მხარეში მოსახმარი საშინაო ქართული ენაა.

ქართველების ერთ ნაწილს შინ სასაუბროდ თავიანთი ენებიც მოეპოვება. ესენია მეგრულ-ჭანური და სვანური. მეგრულ-ჭანური ერთმანეთის მსგავსი ენის ორი დიალექტისაგან შედგება – მეგრულისა და ჭანურისაგან. მეგრულს სამეგრელოში და ჭანურს ჭანეთში გამოიყენებენ. ხოლო სვანური ენა სვანეთში იხმარება.

საქართველოში ქართველების გარდა ცხოვრობენ აფხაზები, ბერძნები, ოსები, აზერბაიჯანელები, სომხები, რუსები, რომლებსაც თავიანთი ენები აქვთ და ურთიერთშორის ამ ენებზე საუბრობენ. თითოეულ ამ ენაზე საქართველოში გამოდის გაზეთები, წიგნები, იდგმება სპექტაკლები. ამ ენებზე მოსაუბრენიც საქართველოს ღვიძლი შვილები არიან და ქართული ენა მათთვისაც ძვირფასია. მათ ქართულ ენაზე უწევთ სახელმწიფო დაწესებულებებში მუშაობა, უნივერსიტეტებში სწავლა და სხვა.

ამდენად, ქართული ენა, მართალია, ქართველებისთვის დედა-ენაა, მაგრამ საქართველოში მცხოვრები ყველა ადამიანისთვისაც იგი ისეთივე მახლობელი და საჭიროა, როგორც სამშობლო.



წყარო 1. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ძვ. წ. III ათასწლეულში უკვე არსებობდა საერთო ქართველური ენა. ძვ. წ. II ათასწლეულში მას გამოეყო სვანური, ხოლო ძვ. წ. I ათასწლეულში — მეგრულ-ჭანური.



2



3



4

წყარო 2. დედა ენის ძეგლი და ამავე სახელობის ბალი მდებარეობს ქალაქ თბილისში. 1978 წლის 14 აპრილს ჩატარდა დიდი მიტინგი. მომიტინგეები ითხოვდნენ, რომ ქართული ენა კვლავ სახელმწიფო ენად დარჩენილიყო. **საპროტესტო** მოთხოვნა შესრულდა. სწორედ ამ მოვლენის აღსანიშნავად ამ ბაღში დაიდგა დედა ენის ძეგლი, ხოლო ბაღს დედა ენის სახელი უწოდეს.

- შეეკითხეთ უფროსებს და გაარკვიეთ, რა იყო მიზეზი, რომ ქართულ ენას საშიშროება შეექმნა.
- თქვენი აზრით, რამდენად სწორი იყო მომიტინგეების მოთხოვნა?

წყარო 3-4. იაკობ გოგებაშვილი ქართული საბავშვო ლიტერატურის ფუძემდებელია. მან შეადგინა და გამოსცა პირველი ქართული სახელმძღვანელო „დედა ენა“ და პირველი ქართული საკითხავი წიგნი „ბუნების კარი“.

წყარო 5. საქართველოს კონსტიტუცია.

საქართველოს მოქალაქენი თანასწორნი არიან განურჩევლად მათი ეროვნული, **ეთნიკური, რელიგიური** თუ ენობრივი კუთვნილებისა. მათ უფლება აქვთ თავისუფლად, ყოველგვარი **დისკრიმინაციისა** და ჩარევის გარეშე განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედა ენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ.

იმუშავეთ წყვილებში და უპასუხეთ კითხვებს.

- ჩამოთვალეთ ყველა ის ეროვნება, რომელიც საქართველოში ცხოვრობს. გააკეთეთ პრეზენტაცია და ერთობლივად დაადგინეთ სრული სია.
- რა უფლებები აქვთ საქართველოს მოქალაქეებს მშობლიური ენის გამოყენებასთან დაკავშირებით? თქვენი აზრით, რამდენად სრულდება კონსტიტუციის ეს მოთხოვნა საქართველოში?

წყარო 6. გაზეთი „დროება“, 1883 წელი

ქართული ენა სხვადასხვა დროს იყო სხვადასხვა ენების გავლენის ქვეშ. ჩვენი მწერლობისა და მეცნიერების წარმომადგენელნი იძენდნენ სწავლა-განათლებას უცხო ენებზე უცხო ქვეყნებში. ამ გარემოებას არ შეეძლო არ ჰქონოდა გავლენა ჩვენს მწერლობასა და ენაზე.

დავალება

- მოიძიეთ იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარი“. შეარჩიეთ ერთი რომელიმე თქვენთვის საინტერესო ამბავი, გააცანით იგი კლასს და ახსენით რაზეა აქ საუბარი. ხომ არ არის იგი აქტუალური თანამედროვე პერიოდშიც?

ტომი საერთო წარმომავლობის ადამიანთა მცირე კრებულისა, რომელიც ერთ მცირე ტერიტორიაზე ცხოვრობს.
დისკრიმინაცია ადამიანების მიმართ უსამართლო და უთანასწორო მოპყრობას ნიშნავს.
პროტესტი გალაშქრებაა რაიმეს წინააღმდეგ.
მიტინგი ადამიანთა დიდი თავყრილობაა რომელიმე საჭირობო საკითხზე.
რელიგია ზებუნებრივი ძალების რწმენაა.
ეთნოსი ადამიანთა ერთობაა, რომელთაც აქვთ საერთო ენა, კულტურა, ტრადიცია და რწმენა, **ეთნიკური** კი ეთნოსთანაა დაკავშირებული.

ჩვენი სამშობლო

დაიყავით ჯგუფებად და შეასრულეთ დავალება, რომელიც ზოგად წარმოდგენას შეგვიქმნის ჩვენს სამშობლოზე.

I ეტაპი

I ჯგუფის დავალება: განვლილი მასალის და რუკის გამოყენებით ერთ სვეტად ჩამოწერეთ საქართველოს მხარეები და დააჯგუფეთ მდებარეობის მიხედვით.

მოპოვებული ინფორმაცია შეიტანეთ ცხრილში, რომელიც მომზადებულია დაფაზე.

| | |
|---------------------------------|-------------------------------|
| აღმოსავლეთ საქართველოს მხარეები | დასავლეთ საქართველოს მხარეები |
|---------------------------------|-------------------------------|

II ჯგუფის დავალება: რუკის გამოყენებით მოძებნეთ მდინარეები, ჩამოწერეთ ერთ სვეტად. მასწავლებლის დახმარებით დააჯგუფეთ იმის მიხედვით, რომელი ზღვის აუზს მიეკუთვნება. პრეზენტაციისათვის შეავსეთ დაფაზე მომზადებული ცხრილი.

| | |
|-----------------------------|--------------------------------|
| შავი ზღვის აუზის მდინარეები | კასპიის ზღვის აუზის მდინარეები |
|-----------------------------|--------------------------------|

იმსჯელეთ, რა მიზნით იყენებენ მდინარის რესურსებს.

III ჯგუფის დავალება: რუკის გამოყენებით ამოიწერეთ მდინარისპირას არსებული დასახლებები და ცხრილში ცალ-ცალკე დააჯგუფეთ ქალაქები და სოფლები. იმსჯელეთ, რა საქმიანობით არის დაკავებული ქალაქისა და სოფლის მოსახლეობა.

| | |
|----------------------------------|---------------------------------|
| მდინარის პირას არსებული ქალაქები | მდინარის პირას არსებული სოფლები |
|----------------------------------|---------------------------------|

IV ჯგუფის დავალება: რუკის გამოყენებით დაასახელეთ რელიეფის ფორმები — ქედი, მთა, ვაკე, დაბლობი. პრეზენტაციისათვის შეიტანეთ ცხრილში.

| | | | |
|------|-----|------|---------|
| ქედი | მთა | ვაკე | დაბლობი |
|------|-----|------|---------|

V ჯგუფის დავალება: მასწავლებლის დახმარებით შეადგინეთ სქემატური რუკა, სადაც ნაჩვენები იქნება ის ძირითადი გეოგრაფიული ობიექტები, რაც იწვევს ჰავის და აქედან გამომდინარე, მეურნეობის დარგების მრავალფეროვნებას (შავი ზღვა, კავკასიონის ქედი, ლიხის ქედი).

თითოეულმა ჯგუფმა კლასს გააცნოს შესრულებული სამუშაო.

II ეტაპი

იმუშავეთ ნყვილებში. რუკის გამოყენებით მოაწყვეთ სიმულაციური მოგზაურობა საბერძნეთიდან შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპირომდე (ვოლოსიდან ფოთამდე) თანამიმდევრობით ჩამოთვალეთ სრუტეები, რომელსაც გაივლით ხმელთაშუა ზღვიდან შავ ზღვაზე გასასვლელად. შეადარე „არგონავტების“ მარშრუტს. მოიყვანეთ არგუმენტი, რითაც განამტკიცებთ ამ მარშრუტის რეალობას.

III ეტაპი

იმუშავეთ ნყვილებში. მოძებნეთ შავი ზღვის კურორტები და იმსჯელეთ, რატომ არის მიმზიდველი შავი ზღვის სანაპირო ტურისტებისათვის. განსაზღვრეთ შავი ზღვის როლი საქართველოს სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში.

თქვენი აზრით, რა ფაქტორებმა შეიძლება გამოიწვიოს შავი ზღვის დაბინძურება? ნამუშევარი გააცანით კლასს.